



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახაზებიანი ზაფითი. ზაფითის ყოველ კვირა დღეს.

№ 32.

ივლისი 31, 1894 წ.

№ 32.

**შინაარსი:** საშვილისშვილო საქმე, საურადღებო ამბები — მგზავრის შენიშვნები. — კალია განჯის და ბაქოს გუბერნიებში ს. დ. — დევილი და პატისსხების დაცვა ფ. პეტრიშვილისა. — გარა (დეგენდა). — ახალი თუ ძველი ენა სალოვანისა — იორილე აბგლომარტიული ელემენტი სანარებაში გ. დოდაშვილისა. — მიტოვებული სერათი ზოლორის დროიდან ეკ. ტაბაშვილისა. — ყერო განცხადებანი.

**მხირი შიქრების** განგრძობა მეორე თავი ვერ დაიბეჭდა.

საშვილისშვილო საქმე

**რ**ა წელიწადი იქნება მას აქეთ, რაც თქვენი უმორჩილესი მონა ერთს რასმე ეპარობ; მსურდა თქვენთვისაც გამეზარებინა ჩემი ფიქრი; ძვირფასო მეითხველო, მაგრამ ეიკრძალოდი, ვაი თუ ცუდათ იმოკმედას თქვენზე ჩემმა მოსასრებამ-მეთქი. დღემდე ჩემი ბუნების წინააღმდეგ ვითმინე; დღეს კი, რაც უნდა გახდეს, უნდა გაგიტყდეს და რამდენად მართალია ჩემი შენიშვნა, დაფასება მომიწევდა თქვენთვის და „მსჯავრი ჰყავთ სამართლიანი“.

აბა, გაიხსენეთ, რამდენი ხანია მას აქეთ, რაც ჩემს საზოგადოებაში შემოწირულება იკრებება სხვა-და-სხვა ფონდების, თუ ძეგლების სასარგებლოდ. გაეხსენოთ ბროსეს სახელობაზე შენაკრებ ფულებს რა მოუვიდა, მერმეთ კიდევ გეკრებია: ეს დავითაშვილის ძეგლი ვარა, ეს შოთა რუ-

სთაველისო, ეს მ. მავალი დედათა სკოლისაო, ეს ქუთაისის თეატრისო (ქალთაგან ნაგროვები), ეს ყაზიბეგისო, ეს სალიტერატურო ფონდი და კიდევ სხვა. აბა, რომელიმე ერთი ამათვანი თუ შესრულე-ბულა, გვიგემებია ჯერ ნაყოფი ჩვენის გროშებისა? არა! იკრებება ყველას სახელობაზე და კეთდება არც ერთი. მე დარწმუნებული ვარ, რომ კიდევ გაივლის 40—50 წელიწადი და ჩვენს ასე ლოლალო-ლოლი-ალით ვერც ერთს საქმეს ხეირანად დამთავრებულს ვერ ველირსებ თ. ხზარად შევხედრივართ გულის მომკვლელს ჩივილს გულ-უბრაუვილო შემწირველთაგან: დლო-აცილები აგრა-ეებენ ამ ფულებს და ჯერ ვერც მათი აგებული ძეგლი ენაზე და ვერც ლიტერატორი სიღარიბისაგან თავ-დაღწეული.

ჯერ ქართველები საზოგადო საქმისადმი უსუსურები ვართ. ახლა ევრევით საზოგადო წელილით სამარადისო საქმის გაკეთებას და რომ გული არ აუტყრუოთ საზოგადო შემომწირველს, საქირაო, დავანასკით ერთი რომელიმე საქმე მათი წელილით გაკეთებული, ვაკეოთ ნაყოფი თავისი გროშებისა და შემდეგ კიდევ მოუთხოვთ საზოგადო საქმისადმი წელილის მოწოდება. ემივორებ გაივლის

კიდევ რამოდენიმე ათი წელიწადი და ჩვენ საკმაოდ არ გვექნება შეესებოდა სალიტერატურო ფორმი ისე, რომ იმ ფულგებთან ჩვენი სახსარ-მოკლებული ლიტერატორები უზრუნველ-ყოფთ და არც გვექნება აგებული ხეირიანი ძეგლი. მაშ რა ექნათ, რომ ერთ-ერთს მაინც ევლისსოთ, აი, რა. დეე, ის ფუ-ლები, საზოგადო საქმისთვის რომ იკარებება, ისე იკრიბოს კიდევ სხვა-და-სხვა სახელით, მხოლოდ როცა მთელი ჯამი საზოგადო ფულებისა იქნება საკმაოდ, მოეახმართ ერთს რომელსამე ყველაზე უფრო ადრე საჭირო საქმეს. დავისონერთ კი, რომელი თანხიდან, ვის სახელობაზე შენაკრები ფულიდან, რამდენი ვისესხეთ. ერთი 5—10 წლის განმავლობა-ში კიდევ შედგება იმდენი ფული, რომ ერთს კიდევ მოეახმართ და მკვიდრს ნიადაგზე დაემაყროთ.

როგორც ვინდა, ისე იფიქრეთ, გინდ საო-წარვეთილი მიწოდეთ, მაინც ვიტყვით, თუ ასე, ან სხვაფერ არ ეილონეთ, ჩვენი შემოაწირულება ისე მკირვა ცალ-ცალკე, რომ არა მგონი რომელიმე ჩვენგანი თავის სიცოცხლეში მოეწიოს იმათ გა-კეთებულ საქმეს, დროა, საზოგადოებამ გაიგოს, ვის ხელშია დღემდე შენაკრები ფულები და რამდენია? ასარგებლებენ, თუ ძვეს ისე უქმად? რად გვინდა, რომ იყოს შენახული, თუ კი ჩვენ მისგან ევრას ევლისრებით და ვერ მოვიხმართ. გავიგოთ, იქნება

ჯამი ყველა საზოგადო ფულებისა ახლავ არის იმ-დენი, რომ შეგვეძლოს მისი მოხმარება ერთის რა-მეწილსამე საქმისათვის. თუ ვის მიენდოს იმისი გა-დაწყვეტა, რას მოვახმართ პირველად ეს ფულები, ჩემის აზრით, ეს მიენდოს ან წერაკითვის გამაერ-ცელებელ საზოგადოებას, ან გადაწყდეს საზოგადო ხმის უმეტესობით ე, ი. წერილის მიწერით და თა-ვის აზრის შეტყობინებით „კვალის“, ან „ივერის“ რედაქციაში. ჩვენის აზრით კი სჯობია, რომ ძე-გლებს ჯერ-ჯერობით თავი დაეანებოთ და მათ სა-ხელობაზე შენაკრები ფულები გადაიფისესხნათ და სალიტერატურო ფონდს მოეახმართ და ის შეეე-სოთ, რომ მით აწ მაინც ზურგი გაეფუძვროთ ჩვენს მწერლებს. გვეყო ამდენი მსხვერპლი, დეე, დაეთა-შვილის და ნინოშვილის ისე ნიეთიერ სილატაკში სულის დაღვეამ აღძრას ჩვენში სიბრაღული. გვეყო ბავშობა, გვეყო გულ-ქვაობა, მოუშართოდ ხელ-ძეგლები და აღზნარდაო ახლები. ნუ დაეადგებით გადაშენების გზას, ნუ დაეაქრობთ უღროოდ ახალ-გაზღვბის გულში ნაფეთქ ნიკს მწერლობისას, ნუ ჩა-უშნამებთ სიცოცხლეს მათ, თვარა რომ მოკვდებ, გვიანია; ან კი რაღათ უნდა: „გინდ იტრიე, გინდა არა“.

ამ — 5 წელ ქ.

12 მისი — ქ. ქეთა სი.

### საყურადღებო აშბები



იდი მთავრინის ქსენიის დაქორწინების სა-კეთილდღეოთ უმაღლესად ბძანება გამოი-ცა დაარსონ საქალეობა საშუალო ცოდნის სასწავლებელი უმწოთა, ობოლთა და ღარიბთა თა-ვა-აზნაურთა ქალეისათვის. ამსთავრე ბძანება გა-იკა სახელმწიფო ხაზინიდან გადიდდეს ოთხასი ათასი მანეთი და დაეთმოს სასახლე სულკურთხეულისა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისა ამ საქალეობა სასწაე-ლებელს. მის გადასაკეთებლად ნახეარი მილიონია აგრეთვე გადადებული. საქალეობა სასწავლებელს და-ერკმევა სახელად „ქსენიის ინსტრუტუი“. ამ სასწაე-ლებელში ას-სამოცდა-თუთხმეტე ვაკანსიაა სახელ-მწიფოთ, დანარჩენებს მოეთ-ოკებთა წელიწადში ოცდა-ხუთი თუმანი, სულ მოწაფეთა რ-ცხტი უნდა იყოს 350.

\*\*\*

25 ივლისს მოხდა პეტერგოვის ავარაზე ქორ-

წილი მისი უმაღლესობის ალექსანდრე მიხაილის ძისა და მათი დიდებულების ხელმწიფე იმპერატორის ასულის ქსენიისა. დედოფალი მირთეს საქორწინოთ ოქროს დარბაზში, საცა ნიეთულობა და ოთახის მორათულობა ოქროსა იყო. დედოფალს ეცვა მსხე-ლი ბილიანტებით მორათული ფიკრგვინი. მეფე-დედოფალი გამოიყვანეს კარის ეკლესიაში, სადაც საქორწინო აღავს წააყენა ივინი თვით ხელმწიფე იმპერატორმა. გვირგვინი უტურთა კარის მოძღვარ-მა პროტარესტიტორმა იანიშევმა. ძმადელ იყვენ მე-მკვიდრე ცესარეიჩი და სძის ძმები.

გვირგვინის კურთხევის შემდეგ გაიმართა იმავე სასახლეში ნადიმი. უმაღლესნი სეფისწულნი ისხდნ ნადიმად და მათ თავს ადგათ დიდებულნი კარის კაცნი. ნადიმს შემდეგ ღამის მეათე საათზე ახალ დაქორწინებულნი წაბანდნ რომპინის სასახლეში მოსასვენებლად.

სალამოს პეტერგოფი ისე იყო განათებული თითქოს მზის შარავანდელი ჩამოსულიყოს მიწაზე.

\*\*\*

ტფილისის ქალაქის თავმა, ბ-მა იზმაილოვმა, შემდეგი სიტყვებით მიულოცა მის უმაღლესობას მიხაილ ნიკოლოზის ძეს ვაჟის ბედნიერი ქორწილი: ტფილისის ქალაქის მონადობილობით, რომლის გულწრფელობა და ღრმა გრძნობა თქვენდამი უცვალებელია, მოგვიმოკავთ დღევანდელ მაღალ სხვათაღულო და დღესწაულის. ნება მიბოძეთ შეგკადრათ თქვენ, როგორც საუკეთესოს და ნამდვილს ჩვენი დედაქალაქის წარმომადგენელად გამხდარს მას აქეთ, რაც თქვენ ამ ქალაქში დაპყებით ოცი წელიწადი, განუცხადათ უმაღლესის ტახტის ფერხთა ქვეშე ერთგულქვეშევრდომობითი გრძნობა ტფილისის მცხოვრებთა და ვადსკეთ უმაღლესს სიძე-სასძლოსა ლოცუა კურთხევა იმ ქალაქისა, რომელიც თათხმეტო საუკუნის სიზორიდან სიყვარულით და სიხარულით ჰქრეტდა იმის აქანს, ვინც ხელიდან გახდებოდა მოთავედ ახალის ოჯახისა; ვისურვებთ შვილისა და უაგუუსტესს შვილის მყუდროსათვის ბედნიერებას - და კეთილდღეობას მრავალ ჯამიერ.»

ამის პასუხად ქალაქის თავს მოწერა მისმა უმაღლესობამ მიხაილ ნიკოლოზის ძემ შემდეგი: «მათი დიდებულებანი, ახალდაქორწინებულნი და მე გულწრფელად ემადლობთ გუშინდელი მოლოცვისათვის ქალაქს ტფილისს, რომელიც არის აქანი და სამშობლო ჩემის შვილის ალექსანდრისი.»

\* \*

26 ივლისს მოხდა საბჭოს კამისის წევრთა სხდომა, რომელზედაც დაესწრენ ქალაქის თავი და ხმოსნები ვერმიშვიდი, იაკიშვიდი, კორდანიოვი და კარაბეტოვი. კამისის სხდომამ განარკვია, თუ როგორი თხოვნა უნდა მიეცეთო სამეურნეო და სახელწიფოო ქონებათა მინისტრს. ყველა მ ერთხმად გადაწყვიტა, რომ ჩვენის ქვეყნის საკუთრებას ყველაზე უფრო შეეფერება უმაღლესი პოლიტეხნიკური სასწავლებლის დაარსება, რომელშიაც უნდა იყოს ორი განყოფილება: სამთო—სამადნო და სამეურნეო, რადგან ჩვენს განსაკუთრებულის ხასიათის ქვეყანას ყველაზე უფრო ეკირება ისეთი სპეციალური სასწავლებელი, სადაც ადგილობრივ სწავლობდენ ამ ჩვენი ქვეყნის მეურნეობას და მადნეულ-წარმოებას. უკეთეს მინისტრი კეთილინებებს და ნებას დაგვრთავს ასეთის სასწავლებელზე, მაშინ ქალაქის საბჭომ უნდა შეწიროს ასი ათასი მანეთი საუნივერსიტეტო კაპიტლისა და ქალაქის მიწა სამასი დესიატინა იმისთანა უმაღლესი სასწავლებლის დასაარსებლად.

\* \*

ბათუმიდან. ნება მიბოძეთ, თქვენი პატივცემუ-

ლი გავეთის საშუალებით, უგულოთადესი მადლობა გამოვუცხადო იმ პატივცემულ პირთ, რომელთაც არ დაიშურეს თავიანთი წვლილი სასარგებლოდ ერთი ნიჭიერი მოწაფისათვის.

სია შემოაწირველთა: სამ-სამი მანეთი: ბ. კალანდარი, გ. ბერძენიშვილი, ნ. საბაშვილი და გ. კ—ძე ორორი მან.: ე. მიქელაიშვილისა, პ. ლომინაძისა, ე. ბერძენიშვილისა, მ. კალანდაძე, № №, თ. პაღარიანი, თითო მან.: ნ. ვახუშია, გ. პაპასკირი, პ. ბერძენიშვილი, მ. ქანიშვილი, კახიანი, თ. თაფურია, ლ. ვედვეანიძე, ი. გეგენაე, № №, მ. ი. ნიკოლაძე ი. ბოლქვაძე, ლ. ხუნგია, ა. მუშლაძე, მ. სარაძე, ს. დისაძე, ს. თოთიბაძე, ე. ცეცხლაძე, ტ. შვეციანი, ა. დრევიჩი, ა. მახარაძე, ჯ. შავეია, ნ. ვაგუა ნ. კუბაძე, პ. ვაგუა, ე. მავროპოლიანისა, მ. კაკაბაძისა, მ. გოგინოვისა და ა. მიქელაიშვილი. ოთხი აბაზი: ფ. გეგენაე. სამ-სამი აბაზი: გ. ქოჭიკაშვილი, პ. ი—გი, ლ. ასათიანი. ათ-ათი შაური: გ. რამიშვილი, ა. ჩიტიშვილი, ა. გარიხაძე, ი. ალექსია, შ. დეკანოზოვი, როსტომოვი, უ. ახვლედიანი, ი. ქიქელიძე, ს. დუმბაძე, ე. კაკაბაძე, № №, ა. სინიკო, კ. გოლუბიევი, პ. პალეშუკი, ა. ხორაეა, № №, ე. ხუგუა, ბ. ლოლაბერიძე, ნ. წიკურაძე, მ. ნემსაძე, ე. გეგენაე. ორორი აბაზი: ლ. რუხაძე, ე. რუხია, გ. შარაშიძე. შვიდი შაური: ჯღერტი. ექვს-ექვსი შაური: ე. ბერიძე, ი. ხუხუნი, თითო აბაზი: ი. გოგოტიშვილი, კ. ჩხაიძე, ცხელონტი. სულ შედგა 67 მან. და 85 კაპ., რომელიც უკვე გაგზავნიან...

გერონტი კალანდაძე

\* \*

ქუთაისში დაბალი ხელოსნები ე. ი. ოკროპქედლები, ხარატები, თერძები და სხვანი ერთად ირიცხებიან 700-მდის, მაგრამ ერთი წეს-რიგიათა ამათში არ სუფევს, თუმცაღა შეძლებდა თავისდა გვირად ხელს უწყობს ამ ხელოსნებს. იმათ ამორჩეული ყავს ერთი თამჯდომარე, ისევე ხელოსანთაგანი და რამოდენიმე წარმომადგენელი. იმათ შორის მენც ვეხსენებო, რადგან მცო ხელოსანთა დასში ვითვლები. ამისთვის მსურდა ჩვენი ხელოსნებისთვის ხელი შეგვეწყო და ცუტად, თუ ბევრად იმათთვის წინ წაგველა ფეხი. ამ აზრით ერთ-ერთ დღეს, როდესაც ჩვენ ხელოსნებს კრება ჰქონდათ დანიშნული და ამორჩეულები მიწვეული ვიყავით თავ-თავის აზრის წარმოსათქმელად, ერთმა ჩვენგანმა ასე დაწყო: რადგან უმეტესი ნაწილი ჩვენი ხელოსნებისა და თითქმის ყველანიც გაუწაფთვლები არიან, ამისათვის ჩვენი მოწაფენი რჩებიან ისეთივე გაუწაფე-

ბელნი, როგორც ახიან მათი აღები; როგორც თავისუფალ დღეს თვითონ ატარებენ დროს ლითონბაში და სხვა უწესო ყოფაქცევით, ამგვარივე ჩივიან ჩვენი ახალ გზად შევირდებიც, აბა, რა უნდა გაიგონოს შევირდამ, თუ არა გინება, ლანძღვა სიმთვალე, სამიკიტნოებში ერთი მეორესთან ჩხუბი და კიდევ სხვა ამ გვარები; ამისათვის საჭირო იქნებოდა, რომ რამე საშუალება აღმოგვეჩინა ჩვენი ხელოსნების შეიღებისათვის, რომ ამ უწესობებს ამცდარიყვენ და ჩემის აზრით ერთად ერთი საშუალობა დარჩენილა ამისთანა უწესობების მოსასპობლად, რომ ჩვენ დაეაზროთ ქუთაისში ჯერ-ჯერობით ერთკლასიანი სახელოსნო სკოლა, რომელზედაც მართლგობაც ხელს მოგვეწყობს და ჩვენი სკოლების ბედ-იღბალი წადგამს წინ ფეხს; სკოლასთან დაეაზრებთ პატარა საწიგნეს და კვირა უქმე დღეს იმის მაგივრათ, რომ სამიკიტნოში დეთერეთ, ერთმა მეორე ვაგინით და თავ-პირი ვამტერიოთ, მოგვეთ წიგნების კითხვას. ერთმა თუ კითხვა არ იცის, მეორე წავგიკითხავს და ხან ბოგუმების მასწავლებელი წავგიკითხავს და ამ გვარად ავეკიდებთ სამიკიტნოებს, ცულ სიტყვა-პასუხს და ჩვენი შეიღები მიიღებენ ცოტათი მაინც სწავლა-განათლებას. ეს აზრი ბევრს მოეწონა, მაგრამ ბევრსაც ენათობა; ამათ შორისაც ჩვენმა ბ-ნმა თავმჯდომარემ მიპასუხა. „სრიელ

მოსაწონია თქვენი აზრი ბ-ნო ხელაძე, მაგრამ მაგ საქმეს მოუწოდება ხარჯათ 7003 მან. და ჩვენს ხელოსნებს სად მოეძებნებათ ამდენი ფულიო“. ამ სიტყვებმა თავსაზრი დამცაო, მიიხრა ჩემმა მეგობარმა და შევეზურუნე სიტყვა: უკეთესი არ იქნება, რომ ის ფულები მოგახმაროთ სკოლას, რომელსაც ჩვენ ეხარჯავთ სამიკიტნოებში ზურნა არღანზე და რა-დაცა რომ შამოგვიღია ეს სამღეთო ვარო, რომელზედაც თითო კაცს ყოველ წელს სამ-სამი თუმანი არ გვეყოფნის.

მის მაგივრათ, რომ ამ სამღეთოზე ღმერთს ვევედროთ, ვთვრებოთ ზურნაზე და არღანზე ვტლინკაობთ, ბოლოს ზნორათ აყალ-მაყალი მოგვდის და კიდევაც ერთი მეორეს თავ-პირს ვამტერივთ და კიდევ ეინ იცის, რას არ ჩადივართ. ჩემის აზრით ამ ფულებს რომ სკოლას მოგახმარებდეთ, საღეთოც ის იქნება და კაცისთვისაც ნაყოფს მოიტანს. არ ღმერთს ეწყინება და კაცს დაგვიმადლებს-მეთქი.

ვისურვოთ, რომ ბ-ნი ხელაძის წარმომავალ აზრს არ ჩაველოს უნაყოფოდ, რომლიდანაც დიდი შეღავათი მიელის ჩვენ დაბალ ხელოსნების შეიღებს. იმიდა, ამ უწარჩინებულესს აზრს მთავრობაც უწარადლებას მიაქცევს და შემწევობას აღმოუჩენს ჩვენს მოხელეებს.

გლაღამურ კოდისპირელი.

მგზავრის შენიშვნები



იხის მთიდან, ან ნაქვრალიდან რომ გადახედოთ დასავლეთის საქართველოს, ერთ უზარმაზარ ქებად მოგვიჩვენებთ. ეს გარემო არტყმული მაღალი კედლები შიგნისა ძველთაგანვე აცალკევებდა დასავლეთ-საქართველოს აღმოსავლეთის ერთა ზე-გავლენისაგან და მხოლოდ შავი-ზღვით კერძო უღებდა კარს უძველესს განათლებას დასავლეთისას: ფნიციელ-გვიგიტელებს, ელდინელ-რომელებს და ბოლოს ბიზანტიელ-ეგროპელებს. ამ გარემოების წყალობით დასავლეთ-საქართველოს ერთს გონებითი აგებულება შექმნილა მეკრიცბლი, მოძრავი და ცნობისმოყვარე ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით თვით უძველესი ბუნებაც ქართლისთანა აქ უფრო დასულა და შენახულა. ამას ამტკიცებს მისი წმინდა გაურყენელი, შეურყეველი ენა და მომწოდებელი ნიჭიერება.

დღეს ეს მთის კედელი აღმოსავლეთისკენ

ღრმად ჩაიჭრა და შავი-ზღვიდანაც აუროცხელი უსხო ტომის ხალხები მოაწყდა. ყველას იზიდავს აქეთენ აღბე-მიცემობა და ვაჭრობა; დასავლეთ-საქართველოს შუაგული განდა ქვეყნის შარა გზად; საც მიმოსტევენნ ორთქლის მატარებელნი და გადაუშვადამოყავთ აღმოსავლეთ-დასავლეთით ურიცხვი უსხო ტომის მოგზაურები. ეკის ხალხი დასავლეთ-საქართველოს უკვე შევრია ამ უსხო ტალღას და თანდათან იცდის ფერს. მხოლოდ განის ვიწრო ხეობაში დარჩენილა ჯერ კიდევ შეუცვლელი ტიპი ქართველისა, როგორც ენით, ისე გარეგანი შეხედულობით. აი, იქიდან მართუნებუნენ დღევანდელს ქართულს შერეულს ლიტერატურაში ანკარა ნაქაღმურები ქართულის ენისა. მაშ მო გასაკვირია, რომ ძირს, სხვა დასხვა ტომების ერთ ამღერულს წუმპევი გამოზღილს გიორგიძეებს და სიმონიძეებს არ ებიტრავებოდესთ, არ მოწონდეთ ანკარა წყალი ქართულის ბუნებრივის ენისა. ლიაში გზარდილს ლოქოს ხომ ვერ გაატარებ ანკარა მთის ხევში, საც დაჰქრის მარდი კლამხი; მართლაც თათრულ-კომ-

ხურ კილოზე ქართულის მცოდნე მწერალს როგორ მოეწონება ძველ ქართულს ნიადაგზე აღმოცენილი უხალცო ენა. სიტხის აღმოქმეში ნაჩვევი ბუნება ყოველთვის უფროხის ცუდ წინადაწერას; მაგრამ როცა ზღაზნი კამეჩი ამ გამაცოცხლებელს ნაკადულს შეეჩვევა, მერე ლექში აღარ ჩაწევბა. მაშ დაე, კამეჩებმა იბღირონ და კუდები უსაბაოფნოდ იქნაიან! ჩვენ მაინც არ მოუშლით მთის ანკარა ნაკადულის სხურებას. აღზე-თუ-გვიან დღეს გააფორებულნი კვლავ დამშვიდდებიან და ბოლოს დაგვიბადლებენ...

\*\*

გურიის ბატონი მამია ერთხელ ეახშამს მიერთებდა თავის ბაქეშ, მწიანე მოლზე. კარის კაცები და სტუმრები ფეხ-მოკეცილნი ირავლივ შემოსდომოდნ და განიერი წრე გაეკეთებინათ. შუაგულ მაღალ სვეტზე სინი იყო დაკრული, ზედ ზეთი იწეოდა და მთელს წრეს უნათებდა. ბატონს გურიელს წინ წმინდა სათელი ედგა. შუა ეახშამზე სათლის ალი ცოტათი გაიხარა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. გურიელმა შენიშნა ეს და მუხლზე ხელი დაეკრა: „ეი, შენ ჩემო, დიღო მუხაო! — წამოაძახა. აქვლას გაუკვირა გურიელის შეცხადება. — ჩოხბატურის გადასახედავზე რომ დიდი მუხა მედგა, ეინც ღამ მოჭრა, ბძანა გურიელმა.

საიდან შეიტყვეთ, ბატონო? — კითხეს კარის კაცებმა. — იქიდან წამოსული სიოა მოხედა ამ სათელს და ალი გახარაო, უხასუბა გურიელმა. ეს არაჟი ძალიან ახასიათებს იმერეთის უწინდელ მფარმარებლას. იყო დრო, როცა იმერეთში მთის მფრლოებზე უზარმაზარი ხელ-შეუხებელი ტყეები იდგენ. მის გამო ნესტი ძალიან აზავებდა მთისა და ბარის ჰავას, ბარში ძალიან ვერ დააქვრდა სიცხე და მთაში სიცხე არ იყო. ამისთვის იმერეთმა არც დიდი ქარი იცოდა. ხილი ზამთრამდის ება ხეებს და ზედ უფრო-და-უფრო მწიფდებოდა. მაშინ იმერეთი საუკეთესო ყურძნის და ხეხილის ბაღად იყო ვალაქეული და არც იცოდა, ველევა რა იყო.

ღღეს სულ სხვა. მომეტებული ნაწილი მალალი ქედებისა მოტიტლებულია, ქალები ვალატაკებული. მზე საშინლად ახურებს ძირს ქალებს, მაშინ როდესაც ქედებზე აუტანელი სიცივეებია და თოვლი მარიაპობის თევზის რჩება გაუმდნარი; ძირს გახურებული ჰაერი ზეით აფარდება და ქედების ცხვი ჰაერი ძირს ჩამოისწავის. ეს ბაღებს საშინელს ძლიერს ქარს, რომელიც თებერვალში და მარტში ხეებს თხრის, სახლებს ანგრევს და სახურავები მიაქ; ზაფხულობით კი მიწას აშრობს, ნაყოფს აქნობს და ჯერ დაუშოფებელს ნაყოფს ძირს ჩამოყრის, შემდეგ დგება აუტანელი ველევა და ქირახული აღარ

მოდის. ამბობენ, ამას ყოველსავე აღმოსავლეთის ქარი შერებოა, რომელიც ქართლიდან და კასპიის ზღვიდან მოჰქრისო. მაგრამ ეს ტყუილია. როცა იმერეთში ზენა ქარი ქვეყანას აქცევს, იმ დროს ქართლიც კახეთში ფოთალიც არ იმძრევა. აღმოსავლეთის ქარი იმერეთშივე იბადება მხოლოდ რიონისა და ყვირილის ხეობაში. ამ შემთხვევაში საკირველი წინამორბედი მნიშვნელობა აქვს აღმოსავლეთის ქარის ამოვარდნის დროს ნაქერალის მთას მდინარის ტყიბულას ხეობაში. უყურად გამომავარდება ნაქერალის ქედიდან საოკარი ძლიერი ქარი, რომელიც ტყიბულის ხეობაში დედამიწას წიწკნის და უშველებელს ხეებს თხრის. ამდროს რიონის ქალაში ატყდება რალაც დიდი შხული; მაშინ იტყვიან, რიონი ყვირის აღობთ აღმოსავლეთის ქარი ამოვარდებაო. მართლაც გევა რამდენიმე საათი და უცხათ დაიხუფლებს აღმოსავლეთის ქარიც. რა ეშველება იმერეთს ამ საშინელის ღეთის რისხვისაგან, რომელიც ახშობს მიწას და აქრობს ქირახულს? სხვა არაფერი ვარდა ქალების შორაწყვისა. იმერეთის ქალებს ჩინებული სარწყავი წყლები აქვს, თუ რომ იმერლები ამას უურადლებას მიაქცივენ და ჩეულებრივად ცას არ დაუწყებენ ყურებას...

ყვირილას შორაპანთან, რიონს ქუთაისთან და ცხენისწყალს მათხოჯთან ისეთი საყელავეები აქვს, რომ რამდენსაც გინდა, იმდენს წყალს გაღუშვებ და საითაც გინდა, იქით მიმართავ, ოღონდ ხალხმა შეერთებული შრომა არ დაიხაროს საქმის გასაკეთებლათ, როგორც ამის მაგალითი გვიჩვენებს ხონელემა და ჯინაიშელემა...

\*\*

„გუბე ნავუბარსაო, წყალი ნადინარსაო“, ხალხური არაკია.

ქვაგუნდის წარმოება გვიპირებს ძველი სტრაბონის სარაპანის კლდე ალდგენას. შორაპანის სადგური შენდება, ექვნიები ემატება, იმერულს ოდგენსაც აქა-იქ ამოუყვია თავი. ჯერ კიდევ ქვაგუნდის წარმოება შემდგარია, თვარა შორაპანი მალე გადაიქცევა ქალაქად. შესანიშნავია ძველი და ახალი შორაპანის მუდებარეობა. ძველი შორაპანი დაშენებულია ერთ კლდის კონცხზე ორ მდინარეს შუა, რომელსაც ეწოდება შერთული, რადგან იქ ყვირილი და ძირული ერთად იყრიან თავს.

კონცხს ვარშემო ავლია ქვიტიკარის კედელი, ცალ-მხრით გვირავს აქვს ჩამოყოლებული მდინარე ყვირილამდის იმ განზრახვით, რომ ყვირილიდან წყალი აუტანთ ციხეში და ვარშემ მტერს ვერ დენახა. მას ვაშს აქეთ ყვირილას კალაპოტი ორ საყენ-ნახევარ სიღრმეზე ჩაუჭრია და გვირავის ბურჯი,

მიწით სავსე, ზევით ამოშვერილა. თვით ეს გარემოება გეიმტკიცებს ამ ციხის არსებას უძველეს დროიდან. ციხე იმნარად არის აგებული, რომ იმას უნდა დაეფარა ძირულისა და ყვირილის ხეობა დასავლეთიდან მომდგარ მტრისაგან. ეინ უნდა ყოფილიყვენ ამ მხრის მტრები. უმკველია, ან ელიონები (ბერძნები) და ან რომაელები, რომელნიც თავის კატარღებით (გემებით) თვით შორაზნის ნავსადგურამდის მოადიოდნო, სტრამონის მოწმობით, და მიჰქანდათ სავაჭრო საქონელიო. დღესაც აიის კვალი, ეინც დაუკვირდება, თუ რა რიგით ჰქონიათ ქართველებს თვით მდინარე ყვირილა და მზეგ ვასავალი ქვიტიკირის ხიდი გამაგრებული. ამ ძველის-ძველი ხიდის ნაშთი ორი ბურჯი-ღა დარჩენილა. მდინარეს რომ კალაპორტი ჩაუჭრია და მიწა გამოუტლია, დასავლეთის ბურჯი ზევიდან გადმონგრეულა და ერთი უშველემებელი მისი ნაშხლევი დღეს თვით ყვირილაში აგლია. ხოლო აღმოსავლეთის ბურჯს, შორა-

ზნის კლდეზე მიდგმულს, ერთი თვალი თარი დღესაც შერჩენია. ამ ბურჯს გვერდით განვხ დასავლეთ-სამხრეთისკენ სამი თუ ოთხი საყენი სიგრძე კედელი აქვს გავლებული. ნეტა რა უნდა იყოს ეს კედელი? იქნება ხიდის ბურჯის დასაკავებლად აგწმენბიოსთ, რომ წყალი არ მოწოლოდა; მაგრამ წყალი როგორ მოაწებოდა, რომ მდინარეს სადინარი დასავლეთ-სამხრეთისკენვე აქვს? უმკველია ამ კედელს სულ სხვა რამე დანიშნულება უნდა ჰქონოდა. მართლაც მას, ჯერ კიდევ დღესაც წყალმივე ჩადგმულს, ეტყობა, რომ ის კედელი კი არა, მთელი საომარი კოშკი ყოფილა, რომ დასავლეთიდან მომავალი მტერი ხიდზე არ გამოეშვა, ან და თვით კატარღები შეემაკრებინა და ზევით წყალ-წყალ აღარ ამოსულიყვენ. ეს რაღაც უწინდელი კარანტინის, ანუ საბაჟოს სიმაგრის ნაშთს წარმოადგენს.

მგზავრი

(შემდეგი იქნება)

### კალია ვახუცის და ბაქოს გუბერნიებში.

**მ**ს რამდენიმე წელიწადია რაც ზემოხსენებულს გუბერნიებში თავი იჩინა კაცობრიობის დღდათ მავნებელმა მწერმა კალიამ; თავიდანვე ამ მოვლენას ადამიანის ბრძოლა და მცეადინეობა დაქირებია, დაქირდებოდა და ახლაც დაქირდა. ჯერ კიდევ, სანამ კალია გამოიჩნებდა, კვერცხებს დავებდნენ, აგროვებდნენ და წვენს; გამოჩეკას შემდეგ-კი ხმარობენ სხვა-და-სხვა საშუალებას იმათ მოსასპობათ. მაგ.: თხრიან ორმოებს და შიგ ახალ გამოჩეკილ კალიის გროვას ცოცხლათ მარხვენ (რკინის გზით მოგზაური უმკველათ შეამჩნევედა, აქსტაფიდან დაწყებული თითქმის ბაკომდის, რკინის გზის ორივე მხარეს მიწით ამოვსებულ ორმოებს თითქმის დაუსრულებელი სასაფლაოები იყო; აი, ეს ორმოები შეადგენენ კალიის სასაფლაოს); ასხმენ ბალახიან მინდორში ნაეთს, ანუ მაზუთს (დაუწმენდავი ნაეთია) და ცეცხლის წყიდებით ხოცენ ჩვენ მტერს კალიას და სხვა...

გასულ წლებში ჩვენ ვიყავით მოწამე, როგორ გულმოდგინით ევივებოდნენ ამ საქმეს, რამაც ნაყოფი კიდევაც მოიტანა: წრეთულს მაგ., წარსულ წლებთან შედარებით, კალია ძალიან ცოტა იყო. აზრე იმათი სიმრავლე ხანდახან მატარებლებსაც აჩერებდა; წრეთულს-კი ერთი შემთხვევაც არ

ყოფილა, რომ კალიის გამო მატარებელი განჩრებულიყო. ეს კარგი და პატიოსანი, მაგრამ წელს შესამწნეათ მრავლდება. ერთი კალია დებს ასიდან ათას კვერცხამდე მომავალ წელს კალია ისევ იმრავლებს და იმათ მოსასპობლათ მეტი ღონე და ხარჯი იქნება საჭირო.

რავა ბევრი თქმა და სჯა უნდა, რომ სანამ კალია მთლად არ მოისპობა, არ უნდა იყვეს უყურადღებოთ დატოვებული იმის მოსპობის საქმე.

აქმინდა, მკითხველო, თქვენი ყურადღება მივაქცო კიდევ ერთ გარემოებას. თითქმის მუდამ წაღს კალიის დასახოცათ აწვევენ თვილისის გუბერნიიდან ქართველ გლეხებს; ჩვენ ბევრჯელ გეინახავს აქსტაფაში, ტატულში, ტაუშში (რკინის გზის სადგურებია) და უფრო განჯაზე დაახლოვებითაც, რომ ქართველები ებრძოდნენ ამ კაცობრიობის მტერს კალიას (სწორეთ ცოტა დააკლდათ ქართველებს, ცოცხებით ხელში მისულიყვენ იმ შამქარის მანდორთან, სადაც ერთხელ ჩვენ ძველებს შესამწნეოში გადაუხდიათ). დიად! იმას მოგახსენებდით, რომ ამ უტხრო მხარეს ქართველები ებრძვიან კალიას და ადგილობრივი მცხოვრებენი-კი... უმეტეს ნაწილთ სიერს უყურებენ. მოიყარან რკინის გზის ახლო თავს და დილიდან საღამომდის უცქერენ მატარებლების მიმოსუას. რამდენჯერ მკითხავს იმათთვის: რას აკეთებთ მთელი დღე უსაქმოთ? აი, ხომ ხედაეთ რამდენი კალია შემოგხვევით გარშემო! ის არა

ჯობია დახლოვდეთ. ჩენი რა საქმეა, ჩენი მისთვის მარტო სერის, თამაშის ეუფროთო (მატარებლების მიმოსვლას აქაური თათრები თამაშის ეძახიან), აბა, ბატონებო; იმ დროს, როცა შორიდან მოსულნი მშვიდი და მწყურვალი ქართველები გულმოდგინეთ ებრძვიან თავის მტერს კალი-

ს, — ადგილობრივი მცხოვრებნი-კი ასე გულ-გრილად უუფრებენ ამ საყურადღებო საქმეს. გონი არ იქნება ურიკი, რომ ამ საქმეს ყურადღება მიჰქციონ, ვისც უფრო არს.

ს. განჯი.

ს. დ.

დუელი და პატროსნების დაცვა

I

(„მუველითა“ და „შენავეთა“ საყურადღებოდ)



ყო რდენსემ ისეთი დრო, როცა ადამიანი სრულიად პირუტყულოდ ცხოვრებდა და ქეუა-გონების მხრით განუფითარებელი იყო. ეს ის დრო იყო, რომელსაც პირენდელ მღვთმარეობის დროს ეძახიან. რა თქმა უნდა, იგი მაშინ სულ ევლურად ცხოვრებდა და ეს მისი ცხოვრება მუდამ და მარტო საქმლის მოპოების ზრუნვაში გამოხატებოდა. ადამიანისთვის, როგორც ყოველი პირუტყვისათვის, უპირველესი და ყველაზე უფრო უახლოვესი მოთხოვნილება იყო მისი სხეულის მოთხოვნილება შესახებ სმა-ქამისა. ამ ძლიერი მოთხოვნილების სრულს გველენას ქვეშ იმყოფება მთელი ცხოვრება პირველ დროის ევლური კაცისა. ქუქის მოთხოვნილება მისთვის ძლიერ სასტიკი იყო და ამ სისასტიკის წარმოდგენა ჩვენთვის, ახლანდელ დროში, ძნელად წარმოსადგენია.

მაგრამ, კარგად იყო თუ ავად, დაღბინებით თუ გაკირებებით, ადამიანს მიერ უნდა ეცხოვრა, — ბუნებისგან მინიჭებული სიცოცხლე თხოულობდა არსებობის განგრძობას და ისიც ამ ძალას უნდა დაეპირაჩილებოდა და ცდილიყო, რომ ეს კუჭის საშუაროვარზე მოეგვარებინა, თავისი ცხოვრება ისე მოეწყო, რომ წინაუღებელი გაკირება შეხვედროდა მის დასამყაფილებლად. ასეთმა მუდმივმა ზრუნვამ ცხოვრების გაუმჯობესებაზე განამტკიცა ადამიანში ძალა და ენერჯია, თან და თან გამოაფხიზლა გონება და ჩააკვირვა იგი მთელს ბუნებაში, რომ მას უფრო ნათლად დაენახა ყველაფერი და თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. ამ გვარი გამოაფხიზლების და წინ წასვლის წყალობით ადამიანმა გამოიგონა სხვადასხვა იარაღები, რომლების შემწეობითაც მას უფრო ადვილად შეეძლო სასტიკ ბუნებასთან ბრძოლის გაწევა და საქირა საკვების მოპოება, შეიგნო

ცეცხლის გაჩენის საიდუმლო და მისი სასარგებლოდ გამოყენება, საქმლის ზარშვის ხელოვნება, მცენარეების გაშენება, საცხოვრებელ შენობების აგება, პირუტყვით მოშინაუროება და მათი მოშენება, და სხ. და სხ.

ამ გეგარად, კაცობრიობამ იწყო თანდათან განვითარების გზაზე სვლა, სხვა და სხვა შრომის გამოადვილებელ იარაღთა გამოგონების წყალობით მისი არსებობა უფრო შევიდრს ნიადაგზე დაღვა, საკვების მოპოება უფრო გაადვილდა, უაზრო შემთხვევას, რომელზედაც პირველად სრულიად დამყარებული იყო კაცის ცხოვრება, თან და თან ძალა დაეკარგა... მაგრამ მაინც ადამიანს ბევრი დაბრკოლება ხედებოდა ცხოვრებაში, რომელთადაც ერთი და ორი კაცის ბრძოლა ვერას გახდებოდა, საქირა აღმოჩნდა ძალ-ღონის შეერთება, სოციალური ცხოვრების დაწყება...

II

სოციალური ცხოვრების განვითარების კვალად კაცობრიობის ცხოვრება უფრო რთული და მრავალფეროვანი შეიქმნა. ადამიანთა ერთად შეჯკუფვის, შეგროვების შედეგად წარმოდა ასეთი, თუ ისეთი ურთიერთობა, კოტად თუ ბევრად ნათლად განისაზღვრა საზოგადოების ყოველი წევრის ცხოვრება, მოქმედება; — დაიბადა კანონი და უფლება. სხვადასხვა უფლებათა დარღვევის გამო წარმოდა სამართალი, სამსჯავრო; ყოველი წევრი საზოგადოებისა შეიქმნა მის წინაშე პასუხის მტებელი, განვითარდა, სხვა და სხვა მიზეზთა გამო, ასეთი თუ ისეთი წესი გასამართლებისა...

საზოგადოებრივი კანონის და უფლების დამრღვევი წაღვა სამსჯავროს წინაშე: ამ სამსჯავრომ უნდა გამოიკვლიოს მისი სიმაართლე, თუ სიმტყუენე და აღადგინოს თავისი მსჯავრი. ბრალდებულმა უნდა იმართლოს თავი, დაამტკიცოს თავისი უბრალოება და ამ ნაირად აიცილოს თავიდან ის ბრალდება, რომელიც ედება მას ამა, თუ იმ კანონის და უფლების დარღვევის გამო, მან უნდა წარმოადგინოს მისი უმანკობის მაჩვენებელი საბუთები.

ჩვენს შორეულს წინაპრებს, რასაკვირველია, არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ იმ გვარს დასატყუებელ საბუთებზე, რომლებიც ახლა იხმარება თანამედროვე სამსჯავროებში. ძველად ბრალდებულის სიმართლის, თუ სიმტყუენის დასამტკიცებლად იხმარებოდა ორ გვარი მოწმობა: 1, ჩვენება ცოცხალ მოწმებისა, რაიცა ჩვენს დროშიც სუფევს, და 2, ჩვენება ღმერთებისა. ამ მეორე გვარს ჩვენებს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ძველად. რადგან ძველი კაც-სთვის ბევრი, ძალიან ბევრი რამ იყო ბუნებაში და მის ცხოვრებაში ისეთი, რომელიც მას არ შეეძლო აეხსნა და განემარტა, ამიტომაც იგი ყველა ასეთ მოვლენათა მიასწრდა ღმერთებს და მათ მოქმედებს. ისეთი მოვლენანი, რომელთაც ჩვენ ბუნების ძალით დაკანონებით ეხსნით და გაემარტათ, ან და უბრალო შემთხვევას მიეწერათ, ძველების აზრით სულ ღმერთების საქმე იყო. ღმერთებო, მათა წარმოდგენით, გარდა იმისა, რომ განაგებდნენ მთელს ქვეყნიერებას, თვალ-ყურს ადევნიდნენ აგრეთვე ადამიანთ მოქმედებასაც, იცოდნენ ყველაფერი მათ შესახებ, მათ წინ არა იყო რა დაფარული და გაუცებელი. ამიტომ ადგილი წარმოსადგენია, რომ ბრალდებულის გასამართლების დროს, როცა საჭირო იყო, გამოაშკარავებულიყო ბრალდებულის საქმის ნამდვილი ვითარება, ძველი ხალხი მიმართავდა ხოლმე ღმერთებს და თხოვდა—ცხვენებათ მათ სამსჯავროს წინ წამდგარის ბრალდებულის სიმართლე თუ სიმტყუენე.

ძველად ღვთაებს სხვა და სხვა გვარად შეთხოვენ პასუხს. უფრო გავრცელებული იყო წილის ყრა. ეს გავრცელებული იყო, მაგალითად, ძველს ებრაელებში, რომელნიც დამნაშაის ძებნის დროს დაივიწყებდნენ ყველა ოჯახებს და ჰყრიდნენ წილს, რომ ვაგვით, თუ სა იყო. ნამდვილი დამნაშაე, აფრიკაში დამნაშაეება ახლაც ამ გვარად დაეძებნენ.

ამ გვარად წარმოდგა ძველად ეგრედ წოდებული „ღვთური განსჯა“ (судъ Божій), ანუ ორდალა. ფიცი, რომელშიაც გამოიხატება თხოვნა ადამიანისა, რომ ღმერთმა დასაჯოს იგი, თუ დამნაშაეა, — შეადგენს ერთ მხარეს ორდალისას <sup>1)</sup>.

რომ თავიდან მოემზარება ბრალდება, ძველი ინდუსი სამსჯავროს წინ შეეხებოდა ღმერთების გამოხატულებათა და ამით თვით მათში მყოფ ღვთაებასაც და შეთხოვდა მათ სასჯელს თავისთვის, თუ მისი ნათქვამი სიტყვები ტყუილი იქნებოდა; ხალხი დარწმუნებული იყო, რომ ამ გვარად ერთის წლის

განმელობაში სიმართლე გამოაშკარავდებოდა, რადგანაც ღმერთი ნამდვილად დასჯიდა იმას, ეინც მას ტყუილად, უწმინდური განზრახვით შეეცდებოდა; ამიტომ სჯეროდათ, რომ ერთის წლის გასვლამდის ფიცის დამდებს შეემთხვეოდა ან დიდი ბედნიერება და ან უბედურება. ხალხის თანამედროვე თქმულბანიც გვიჩვენებენ ნათლად, რომ ისეთივე შეხედულება, რწმენა სუფევდა ჩვენს ხალხშიაც. აქამამდე სჯერათ, რომ ფიცის გამტყები ერთს წელიწადს ვერ გადაწყვეს, მოკვდება <sup>2)</sup>.

### III


ამ გვარად ყველას რწმენა, რომ ფიცს ყოველთვის მოჰყვებოდა ღვთის განაჩენი და არავის სეკურად არ მიიჩნდა, მაგრამ ადამიანის მოთმინება ვერ იტანდა ხანგრძლივს ლოდინს. მართალია ფიცს დაღვთობა ბრალდებულის, მაგრამ რადის გამოჩნდებოდა ღვთიური მსჯავრი, — აი, ეს იყო ასახსნელი საგანი. თუმცა ოდესმე რომ მსჯავრი თავს იჩენდა, ეჭვი არ იყო, მაგრამ მაინც, მიუხედავით ამისა, ადამიანსში რად ხედავდა, რომ ეს მსჯავრი ძალიან იგვიანებდა და ხან სულ არ ჩნდებოდა. რა თქმა უნდა, სხვადასხვა გარემოებას ბრალდებულის ცხოვრებაში ფიცს შემდეგ ძველად ღვთიურ მართლ მსაჯულებას აწერდნენ, მაგალითად: ფიცს შემდეგ ბრალდებულის თუ ავით გახდებოდა; ან მოკვდებოდა, — ყველა ეს ღვთის ძალას, მის მართლ-მსაჯულებას მიეწერებოდა; მაგრამ ისეთი შემთხვევებიც იქნებოდა, რომ ფიცის დამდები ისევ ძველებურად, შეუშუათეველად ცხოვრებდა და მის ცხოვრებას თითქმის არავითარი ცვლილება არ ეტყობოდა. გარდა ამისა, თვით ადამიანს ძალიან უძნელდებოდა თვალ-ყური ედევნებოდა და ფიცდებულის ცხოვრებისათვის, ვაგვო, დაენახა ღვთის მსჯავრი, გადაწყვეტებოდა, დანაშა მისი სიმართლე, უცოდველობა; თვით ცხოვრებაში მას ჰქონდა უფრო მნიშვნელოვანი, საინტერესო საქმეები გასაკეთებელი, რომელზედაც იყო დამოკიდებული მთელი მისი არსებობა. ამიტომ საჭირო შეიქნა, ადამიანს მოეგონა ისეთი რამ, რომ ღვთის მსჯავრი მასშივე, ფიცის დადებისთანავე გამოაშკარავებულიყო და მართლაც ასეთი ხერხი მან მოიგონა. ეს არის ბრალდებულის ჩაყენება ისეთს საშიშარს მდგომარეობაში, რომლიდანაც იგი ან გამარჯვებულად ან ძლიერი უნდა გამოუსულიყო ყველა ის ბრალდება, რასაც მას აბრალდებდნენ, ტყუილი და მოგონებული იყო, იმ დროის ხალხის წარმოდგენით, ღმერთიც მას მიეხმარებოდა და განსაცდელიდან

<sup>1)</sup> История культуры Ю. Липперта, сиб. 1894, გვ. 2. 0.

<sup>2)</sup> ibid. გვ. 251.



Handwritten text in Georgian script, mostly obscured by a large white paper fragment.



1109126

ი გამზას ეახტანგის კანონებიდან უნ-  
ებელი. ეახტანგის კანონების ჩ,  
არის ლაბარაკი მხოლოდ მდუ-  
ბელი რკინით გამოცდაზე, — ამ  
გამოცდის ასეთივე ფორმები  
ის მღივან-ზეგების განწინების  
უ აღმოაჩინა ბაქრაქმ გუ-  
ბის დროს<sup>1)</sup>.

ქნობს კოვალევსკი — აქამო-  
ი, რომლებიც გეიჩენენბს,  
თილა გავრცელებული მდ-  
ხეე ოსეთში, შანაეის სი-  
ლა ჩეეულება, რომლის  
უიქროთ, რომ იქ ყოფი-  
ლით გამოცდა: „მოძრავ  
ეედაკაცების პატარა ნიე-  
აკ ექვს აილებდენ, იმას  
ცდას, — ანთებულ კო-  
აღლებული გადახტო-  
ხლად გამოიედოდა, —  
უბრალოდ ითეუე-  
ად იტყვიან ხოლმე:  
ეთეე მათი სიტყვა ფ-  
ინი<sup>2)</sup> პირდაპირ ნიშნავს  
ბის წარმოდგენით ადამ-  
ე გამოდის ცეცხლიდან, ის-  
ემელი ცეცხლისა<sup>3)</sup>.

მები ძეეოლად სხვა გვარი იყო,  
ებისთვის ფორმებს თითქმის  
ანდა მნიშენილობა. იმ დროს ხა-  
ით, ჭეშმარიტების გამოსააშკარაე-  
ითი იყო, გამოიცდებოდა ბრალდებუ-  
ით, რკინით თუ წყლით. ხალხს რწამდა,  
ეთის განაწინე გამოწინდებოდა მიუხედავად  
იმის, ცეცხლს იხმარებენ, თუ წყალს გამოსაცდ-  
ლად. ამიტომ ადვილი მისახვედრია, რომ ორდა-  
ლიის ფორმები თანდათან იცეცებოდა და სხვა-და-  
სხვაეურდებოდა. ფორმების გამოცდა ორდალიის  
შიწაგან ახრს არას აენებდა, — რწმენა მიინც რწმენად  
ჩიქებოდა.

ორდალიის ერთ ფორმას შეადგენს ლუელი<sup>4)</sup>.

და დსს  
დებული მარს  
ან ხატის გაქურდვა  
ქმედებაში, მას სხვა-და-სხვა  
ყენებდენ, ისეთ გამოცდას, რომელიც  
ტად ბარბაროსული დროის შესაფერი იყო.  
მოციდდენ ადულებული წყლით; ამ შემთხვევაში  
უნდა ჩაეყო ხელი მდულარეში და იქიდან სპილენ-  
ძის ან ეერცხლის ჯვარი ამოეოლა. ამას შემდეგ ხელს  
შეუზეედენ და თუ სამ დღეს შემდეგ დაწვის ნი-  
შანი ხელზე არ გამოაჩნდებოდა რა, მას უმანკოდ  
გამოაცხადებდენ, და თუ ხელს წყლოლი დააჩნდე-  
ბოდა, დამნაშავედ ჩათელიდენ. — აგრეთვე ბრალ-  
დებულს ხელზე დაადებდენ ვახურებულ რკინას და  
რა შედეგიც მოჰყებოდა ამას, ის იყო ნიშანი მისი  
სიმართლის, თუ სიმტყუენისა<sup>2)</sup>.

1) М. Ковалевскій. Законъ и обычай на Кавказѣ, т. I., гл. 110.

2) Voyage dans la Russie meridionale par le chevalier gamba, t. I., paris 1826, гл. 314 და შემდეგი.

ეს მოწმობას გამზასი, ცოტა ან იყოს, ახლა სი-  
მართლის მოკლეულობა, თანხმად ახალი საბუთების აღ-  
მოჩენისა.

1) ვახტანგის კანონების კრებული ამ კვამთ ჭე-  
სელი ანა მკვს. გვ. 110.

2) Законъ и обычай. გვ. 111.

3) ibid. გვ. 112.

4) ბ. ნი „შეკლეკ“ სიტყვა ლუელის მავთვრად  
ხნაღში გასულას ხმარობს; თუმა დაუეული სმლითარ  
შეისლება მთადეს და თთე-დამაწითარე...

ეს ფორმა ორდალითა უფრო საშუალო საუკუნოებში გავრცელდა. დღევანდელი ის აზრი ჰქონდა, რაც სხვა გვარ გამოცდას ბრალდებულისას. ორი მოწინააღმდეგე გვიდოდნენ სპობოლად, რასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა ერთ-ერთის გამარჯვება. „ბრძოლის დაწყებამდის ორივე მხარე ფიცს დებდა, ასე რომ ერთი მათგანი უსათუოდ ფიცს გამტეხი გამოდიოდა. ამაში არის სულ მთელი აზრი და შიშვენილობა. ჩვენამდის დარჩა ძველი ფიცის მთელი ფორმულები: „So wahr mir Gott helfe zy diesem Kampfe“ (როგორც ეს მართალია, ისეც ღმერთი შემეწიოს მე ამ ბრძოლაში). მსაჯულებს ქმნიან ბრძოლის შედეგად ურჩევნება.“<sup>1)</sup>

საშუალო საუკუნოებისებური დღელი ჩვენშიაც იყო გავრცელებული. „ხშირად — ამბობს გამბა — სიმათლე ხმლის ბრძოლით წყდებოდა ხოლმე საქართველოში, იყო თუ არა ბრალდება საფუძვლიანი. დღევანდელი იარაღი ჩნებოდა გამარჯვებულს: თი-

თოველს მებრძოლს თან ახლდა ერთი მოწმე, რომელსაც ხხვა იარაღი არა ჰქონდა რა, გარდა მათრახისა. მოწმეებს თვალ-ყური უნდა ედევნათ მებრძოლთათვის და არ დაენებებიათ გამარჯვებულისათვის, რომ მოკლა დამარცხებული, როცა ეს უკანასკნელი მიწაზე იქნებოდა განართხული. დამარცხებულის ცხენი გამარჯვებულის მოწმეს ეკუთვნოდა“<sup>2)</sup>.

ამ სახით, — ემიგრებთ — დღევანდელი, როგორც ერთ ფორმას ორდალითს, იგივე საფუძველი აქვს, რა საფუძველიც აქვს ბრალდებულის გამოცდას ცეცხლით, წყლით და სხვ. განსხვავება მხოლოდ გარეგნობაშია. აქაც ხმლის შემწეობით სწრაფად გამოჩნდებოდა ხოლმე, თუ ვის იცავდა და ვის იფარავდი ღმერთი<sup>3)</sup>. და, რასაკვირველია, ღმერთი ხომ მტყუანს მფარველობას არ გაუწევდა...

გ. პატრ. შვილი

(შედეგი იქნება)

1) Voyage გვ. 314,

2) Липперг, გვ. 251.

1) Липперта, история культуры, гв. 351.

ა გ ა რ ა

**ს**ვარა, როგორც ვიცით ბიბლიიდან, იყო სარჩას მიახლო. აბრაამს შეუტყუარდა ის, რომელმაც უშვა ძე ისმაილი. აბრაამის ცოლიმას რამა ეწოდა და იყვნენ აბრაამს ოჯახში და განაძეგა უდაბნოში. მამადიანებს ეს ამავე სრულად ვადმოლებული აქვთ დაბადებულან, მაგრამ ყურანში მას ვიდრე სხვა მოთხოვნაც დაუმატეს: აბრაამმა უბნაოთ თვის ყმებს, წყეცხანთ აგარა და ძე მისი ისმაილი უდაბნოსა შინა, იქ, სადაც ახლა მეკის ქალაქია აშენებულია. აგარას მალე შემოაკლდა თან-წამოდებული საგდალი, ჩაეარდა სასოწარკვეთი-

ლებში, დასვა ისმაილი ერთ ალაგას და თვითონ გაეშურაო საფოსა და მარჯის გორაკების მიდამოში წყლის საძებრად. პატარა ისმაილი ატირდა თურმე დღის მოშორებამდე და დაიწყო ფეხების ცემა მიწაზე. უცებ, იმ ალაგს, საცა ისმაილი ფეხებს ცემდა, გამოჩნდა წყარო. აგარამ მოაშურა შეილის ტირილზე და რა ნახა, რომ იმ ალაგს წყარო მოჩუჩხუხებდა, სიბარულით მოესო და მაშინვე მოზიდა მიწის ბელს და გასწავლა წყაროს და დააყენა წყალი მასთან, რომ არ გაპარულიყო. მამადიანები ამბობენ, რომ ეს წყარო დღემდისაც გამოდის არაბეთის უდაბნოში, მეკის მახლობლად და ეძახიან ძემძემის ქალაქა.

ახალი თუ ძველი ენა?

**გ**ერის № 144-ში ბ-ნი ი. სიმონიძე აკიცხადმი მიმართულ პაწია სამაგიერო-ში ეხება ქართულ ენის ზოგიერთ კანონებს და მოჰყავს რამოდენიმე მაგალითი, თუ რა სიტყვა, ან გამოთქმა როგორ უნდა იხმარებოდეს. კამათი გამოიწვია მრავალ ტანჯულ ზნის „აჯარების“ მიმოხერამ.

ერთი ამბობს: „ალგიარებ“ უნდაო, მეორე — „გალიარებ“ და სხვ.

მე არ მინდა — ევქიმოვაგო რომელსამე ამ მოკამათეთაგანს, ხოლო ქართულ ენას კი მსურს გამოვესარჩლო. როგორც ბ-ნი ი. სიმონიძე ბძანებს, ერთმანეთის კენა არ არის საკადრისი, ხოლო ის კი საკადრისა და სასურველიც, აუცილებელი საჭიროა, რომ ერთმანეთს შეცდომა ვუჩვენოთ. შეუცდომელი ადამიანი არსად მოიპოვება და განსაკუ-

თრებით ჩვენში ღღეს არ გვეკულება იმისთანა კაცი, რომ ქართული ენა უნაკლებოდ იცოდეს. ზოგმა ეტიმოლოგია იცის და სინტაქსი არა; ზოგს სინტაქსი შეუთვისებია და ეტიმოლოგიაში კაკობობს; ზოგმა ლექსიკონი იცის და გრამატიკა არა. ასე რომ ქართული ენის საესებით მკოდნე ღღეს-ღღეობით არ გვეყეს და არა. ამიტომაც საქორა-მეთქი, ვამბობ, როცა შეენიშნაეთ შეცდომებს, გაეუსწოროთ ერთმანეთს, — რა საკიერელია უტბენულათ. შეიძლება კერძოთ ზოგიერთებისათვის (იმათთვის, ვისაც უსწორებენ), ამკერი მოქცევა სასიამოვნო არ დარჩეს, მაკრამ საზოგადო საქმე კი ამით უსათუთო წინ წაიწყეს.

მე აქ მხოლოდ იმ სიტყვებზე გაეჩერდები, რომელმაც კანათი გამოიწყია.

ბ-ნი ი. სიმონიძე ამბობს: „...აღბაარბე ძველი ფორმა, გაღბაარბე—ახალი, ორივე კანონიერიიაო.“ და შემდეგ გაწმარტებს: „მაგალითად, ვამბობთ: შენ მე ჰღბაარბე, და არა ჰღბაარბე, ჰღბაარბესისარ და არა ჰღბაარბესისარა“ და სხ. და სხ.

ერთი ეს უნდა ვეითხოთ: ეინ ამბობს, „მიღბაარბე და არა ჰღბაარბე“, „მიღბაარბეინარ, და არა აღბაარბეინარ“? ცხადია, ეინათანები ამბობენ ასე, რომელთაც წინაპართა ენა არ შეუსწავლიათ და, მაშასადამე, რომელთა ქართულის ენის ცოდნა უსაძირკელიოდ არის აშენებული.

ჩეინის აზრით, ყოველივე ენა ახლდება, იცელება, მაკრამ ისე კი, რომ საძირკელიათ ანუ საჩულოდ მაინც ძველი ენა აქვს. ენის მკოდნე მკვლევარი ხეირიანი მწერალი ბრმათ არ უნდა ემორჩილებოდეს არც ძველსა და არც ახალ ფორმებს, არამედ მათ შორის ერთ-ერთი აირჩიოს, რომელიც უფრო კეთილ-მხოვენი იყოს და ენის საზოგადო კანონსაც არ ეწინააღმდეგებოდეს. ღღევანღღე ქართულის ენის უტოღინართა ბრბოს რო მივეყეთ და მათ მიერ დამახინჯებულ ფორმებს რომ ახალი ფორმა ცუფროდოთ და კანონებათ აღვიართ (და არა ჰღბაარბოთ), ძლიერ შორს წავალთ ჩენის ენის დამახინჯებაშა. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ სენის მექანმა-კამა თქვას: გაღბაარბე უფრო კეთილ-მხოვენიარ, ვიდრე ჰღბაარბეშა; რაც შეეება კანონს, ჩვენ ერთი ზმაც არ ვეით იმისთანა, რომ თავსართი შუაში რჩებოდეს და ზმნის პიროვენი ნიშნები (ვ, მ, გ, უ, გვ) თავსართებს წინ უჯდეს მიმოხერაშო.

ზმნის ნიშნები ყოველთვის თავსართებს შემდეგ დასმის: აღტურეა — აღ-ე-ტურე (და არა ე-აღ-ტურე) აღტქა — აღ-ე-ტქამ (და არა ე-აღ-ტქამ ან ე-აღ-ტქამ), გაკეთბა — გა-ე-აკეთბ, გა-გ-იკეთბ, და სხ. და სხ. მაშასადამე რალა ეს ერთი ზმნა (აღსარება) ვამონდა ამ საზოგადო კანონის წინააღმდეგე?

არა, ბატონებო! ენის უტოღინარ ბრბოს მაგალითები კი ნუ ვინებლმდეანებლბთ ენის ფორმების შემუშავებაშო, არამედ ვინებლმდეანებლბთ ენის უტოღინებულ კანონებით, ძველი ენის შესწავლით და ძველთა და ახალ საზოგადართა, ენის მკოდნე მწერალთა მაგალითებით. ხოლო, რაც შეეება ენის „განახლებას“, გამიღრებს და საზოგადოდ პიოგრებს, ჩვენ ეს ამ გეარდ გვესმის: 1) გავათვისუფლოთ ჩენი ღღევანღღე ენა ძველი ენის მძიმე ფორმებისაგან (მაგალითად ეინართ აკკლე, გუგაგუგუფლე, და არა აკკლე, გუგაგუგუფლე და მით ნაკლებ გუგაგუგუფლე, საღეც 5-ს არაკითარი სიმართლე აქვს); 2) გავაკეთიღმხოვენოთ ენა სიტყვებში მხოველ-თანმხოვენობის მოსკობით (მაგალითად ეინბართ მიამხე, და არა მიამხხე, წავიღენ და არა წავიღენ, გღიღბოს და არა სღღიღბოს, გსოგგეს და არა სსოგგგოს და სხ. 3) სიტყვები წინაღღებაში მარტივათ, უბრალოთ დღეაწოთ (მაგალ. ქმეყნის ღიღე საქმე თავ-გაწირებს დიდი ნოთხე, და არა „ითხოეს თავ-გაწირვას დიდი საქმე ქვეყნისა“).

ღღეუბრუნდეთ იმავე ზმნას. თუ გეინდა გავეით, რაგორ მიმოხერის ზმნა ჰღბაარბეს, საუუძელიათ უნდა მიველოთ ან საღეთო-წერილი, ან ძველი და ახალი ქართული საუკეთესო მწერალნი, ან ქართული ენის კარგათ მკოდნე გრამატიკონი: ყველა ესენი ერთხმად აღბაარბენ, რომ „აღბაარბე“ ენა და არა „აღბაარბეო“. განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიექცია გავსენებულმა დამიტრი ყიფიანმა, რომელმაც ქართული ენა ძლიერ კარგათ იცოდა. ის ხეღვდა, რომ ენის უტოღინარნი ამახინჯებულ ამ ზმნის ფორმებს, და ამიტომ თავის გრამატიკაში წარმოგეიღვია მისი სრული მიმოხერა: დიძ. ყიფიანის თანხმათ, ჩემს „ქართულ ზმნებშა-ც“ მოიპოვება ამავე ზმნის ფორმები სხვა-და-სხვა ღღეოში და კილოში, და ამიტომ აქ აღარ გავიმეორებ.

სილოკან

ქეთობი 1894 წ.



მოქცეა სიტყვების ასხმა-აქინძევაში, ანუ აგლომერაციაში, მაშინ ვახდა იგი უბრალო ნიშანი, როგორც მარცხენა რომელიმე საცნის საზოგადოებრივ მდგომარეობას. რადგანაც ამ სიტყვას გამოვლილი აქვს უკვე ქართულში სამი ხანა, მაშასადამე საფიქრებელია, რომ სომხურს ენას მიეთვისებინოს ეს სიტყვა უწინდელს დროში ქართული ენის ზედგავლენით \*).

ჩვენ ვთქვით ზეითა, რომ აგლომერაციაში მეორე ხარისხის ძირები გარდა სხვა-და-სხვა გვიმოკლებსა, შესაძლებელია, ფონეტიკურადაც იცვლებოდეს-მითქი. მაგალითისთვის გარდა მაჟინილ ელემენტისა შთა=ჩა გაესინჯავთ აგრედვე თუნდ ელემენტს „ამ“, რომელსაც ბ-ნი ხანანაშვილიც შეეხო (გან—გა).

ყველა ვიცით, რომ ჩვენს სასაუბრო ენაში ახლა თანაბრად ეხმარობთ შემდეგ მაგალითებს: ჯიბიღამ, ჯიბიღან, ჯიბიღან, კარებიღამ, კარებიღან, კარებიღან...

მაშ რა იქნება ეს „გან“, შემოკლებული „ან“, ფონეტიკურად გადაგვარებული „ამ“, თუ არა ცხლანდელი თვითმდგომარე განი (სიგანე, განიერი...)?

ხშირად ორი თვითმდგომარე ელემენტის შეერთება და ფონეტიკურად გადაგვარდება ხოლმე ერთ ელემენტად, რომელიც ხშირად უცნობ ელემენტად გვეჩვენება ხოლმე: მამი-და-ან-თასა, დედი-და-ან-თასა... ჩვენ ვიცნობთ ელემენტს „თა“, აგრედვე ვიცით, რაც არის ელემენტისა, გასაგები იქნება აგრედვე შემოკლება ამ უკანასკნელ ელემენტისა იმავე მაგალითებში (მამიდანათას, დედიდანათას...), მაგრამ რა იქნება ელემენტი „ცა“ იმავე მაგალითების ხალხურს გამოთქმაში (მამიდანაცა, დედიდანაცა...), თუ არა ფონეტიკური გადაგვარება ორ შეერთებულ ელემენტთა: თა+სა=თსა=თ/₂ სა=ცა (შეადარეთ: ათი+სამი+მეტი+თსამეტი=თ/₂ სამეტი=ცამეტი, ათი+შვიდი+მეტი=თშვიდმეტი=თ/₂ შვიდმეტი=ჩვიდმეტი.).

ამით ვათავებთ ბ-ნ ხანანაშვილის წერილის გამო ლაპარაკს და შევეუდებით სახარების ენის იმ აგლომერატიულ ელემენტების განხილვას, რომლითაც ჯერ არ შეხებია ჩვენი მკვლევარ მძიძებელნი. ჩვენ ვაზნობთ ერთგვარ ელემენტთა გადასხმაზე, რომელიც შეადგენს სახარების ენის უმთავრესსა და განსაკუთრებულ თვისებას

სახარების ქართული თარგმანიდან ეტუობი-

ლობთ, თუ რა გვარი მოწიწებითა და სიფრთხილით ეპარობა მთარგმნელი ბერძნულს დედანს: იგი ცდილობს არა თუ მარტო სისწორით აზრი გადმოეცეს ქართულად, არამედ ყოველ ღონესა ხმარობს, საცა ქო შესაძლებელია, თვით ფორმა გადმოაღებულ იქნას „შეუთავნების ბერძნულს სხვა-და-სხვა კონსტრუქციას. ამ სურვილის განხორციელებასთვის მთარგმნელს უპოვია ერთად-ერთი სხვადასტიურა სახარის ელემენტთა გადასხმა, რომელიც სრულიად არ ეწინააღმდეგება ქართული ენის ბუნება-ხასიათს. ამ გვარად შეთავსული ფორმები ჩვენ ჯერედ არ შეგებულა ძველი მწერლობაში, გარდა ორიოდ მაგალითისა წერა-კითხვის ხელთნაწერში „მოქცევაჲ ქართლისაჲ ამასთან ან ფორმითა გარეგნობა ერთ გვარი იქმნება სახარებისა მოქცევის ენაში, მაგრამ სახარების ფორმებს, მინც ეპყობათ ეკლავლური თავისებურობა, რისა გამო ქვევით ნაჩვენები, სასარგებოდან ამოკრეფილი ფორმები, ცვრანებ, უნდა შეადგენდნ სახარების ენის განსაკუთრებულ თვისებას. სადაც ბერძნულში ნახმარია *genetivus absolutus, dativus cum partitivo, ჰებ ცუმ კონიუნქტუო* ანუ *თსც...*, *მწც...* რაც სისწორით უფრო ძნელი გადმოსაღები ყოფილა, იქ ქართველი მთარგმნელი თავისებური ინფიქსაციით შემდგარ ზმნის ფორმებს ხმარობს:

იოანე IV, 31:

ვითარცა მოადგენილად იგა...  
ნაცვლად: ოდენ მივიღვად.

წებ ზმ ასთნ კაქაქასონთც...

მათე IX, 32:

და ვითარცა ივინი გამოადგენიდექს...  
ნაცვლად: ოდენ გამოვიდექს...

ასთნ ზმ მხეცვიმსონ...

მათე XII, 38:

მაშინ მივითმუქს მწიგნობართაგან...  
ნაცვლად: ვითომ მიუქს...

ტბე ასეკრმუქან თსნ თნ ვრამათსონ...

იოანე IV, 33:

ნუ მძვი მოვიმძვრთვძს ჭამდე?...  
ნაცვლად: ვინმე მოაწვთვ...

მწცა მწეცხენ ასთნ ფაქცენ

მათე IX, 21:

ვითარცა შესოფლოთუ ქესო სამოსელს მისს, ვესონდე.  
ნაცვლად: სოფლო თუ შეკესო...

Εάν μισον ἀφορια τον κματων ασθν, σωμψαμα.

\*) ასე გასინჯეთ, მეორე სორნოლიც-კი სმარობს თავის ისტორიაში სქვის სქვის სიტყვებს: *ქნი, ქნიცქ* და სხვა...

მათე X, 7:

და მისხვადეთ ჰადგუბდით...  
სადღეს: რა მისხვადეთ...

παραστέμνοι δε κηρύσσετε

მათე IX 27:

და წამოარავიდოდა მიერ იესო...  
სადღეს: რა წამოარავიდოდა...

Και παράγειν ἐκείθεν τῆρ Ἰησὺ.

იოანე V, 7:

და შთამბგლო საბნეს...  
დას ამს...

Βάλλῃ με εἰς τῆν κο-  
λυμπήθραν

ჩვენ საზოგადოდ ბევრი გვაქვს სათქმელი სახარების ენის შესახებ, მაგრამ ეს წერილი ისეც გავრძელდა და ამისთვის გუჯრებობით ამაზე შევიჩრდებოთ.

კ. დოღუგლი

### მიტოვებული

(სურათი ხოლერის დროიდან)

დასასრული \*)

**შ**რემი დატვირთულია. პარაზი მადიანად ნასაუზმევი ურამის თავში ბალიშებზე გამოქიპული ზის, ლომა კამეჩი „ტროიკათ“ მიანიხა და დაბალის ხმით ღლინებს: „ЗВОНИТЬ ЗВОНОКЪ И ТРОЙКА МЧИТСЯ“. ძველი და ახალი თაობა მოყვებისა შუა ურემშია მოთავსებული და წყნარად მოელის მგზავრობის დასაწყისს; ლუარსაბი ცდილობს ურემის ბოლოზე შემოჯდეს, მაგრამ ძლიერ უშენდება, ქოშინი ყელში ებრძვის და სულს უგუზებს, ბოლოს, როგორც იყო, ლუარსაბიც, მეთურმის შემწეობით, მოთავსდა თავის ალაგს და ურემი დაიძრა.

ნენეს თავის ტახტის კუნჭულზე ურამის კრიალი მოესმა, ერთი კიდევ შეაფედრა ღვთაებას თავი პირშია და ბევრი ღელვით დალალოლ-დაქანცული მუთაქზე მიეშვა. დიდხანს დაჰყო მასმა ტბილმა ძილმა, გული დამწეიდებული ჰქონდა, დარწმუნებული იყო, რომ ლუარსაბ დასაცდელს გადურჩა და სხვა ყოველი ამისთვის აღარ ღირდა, აღარც ჩირად.

შუალამე გადასული იყო, როდესაც იაგარამ კარი შემოაღო და ბარბაციო ოთახში შემოვიდა; ეს დღეს შთაში წასვლის წინად ერთი კიდევ გამოითრო პირდაპირ დუქანში და საცაღა ძილად მოეგო; წამსვლელელებმა ვერ იპოვეს და თავი მიანებეს. იაგარას მხოლოდ ახლა გამოივლიდა, საშინელ მკურომარეობაში იგრძნო თავის თავი და შინისკენ გამოემშტრა: მუხლები უეჩაკლებდა, თვალთ უბრჭყეილ-

ბდა, გულს ერეოდა და ვერ გამოერკვია, თუ რა იყო ამის თავს; ჩვეულებრივი სიმთვრალის შედეგი აწევბოდა გულს, თუ მუხთალი ხოლერა უღებდა ბოლოს. ბნელაში ჩალაცას თეხი წამოჰკრა და საშინელი ზღარბანი მოიღო იატაკზე. ნენე წამოჯდა, თვალეხი მოიფშენიბა, მაგრამ სახლში საშინელი სიბნელე იყო და ვერა გავოა რა. მოესმა მხოლოდ საზარელი ზიდება და კენესა-გმინვა. „ღმერთო, ღვთის-მშობელო, შემიწყალე, ეს რა ამბავია ჩემ თავს!“ შესაზარი ხმით დაიღრიალა და პირჯვარი გამოისახა. — ნინო, საწთელი ამინთე, გამავებინე ეს რა ცოლვა ეწია ჩემ თავს?

მაგრამ მშველელი ეინ იყო, ეინ გაიგონებდა ნენეს ძახილს, ერთად-ერთი ამის მომვლეი და მპატრონებელი ნინო დედაკაცი, ჯგუშინე ვაიხიზნა თავის სახლობასთან ერთად და ნენე მხოლოდ ახლა მიხედა, რომ პატრონებმა თავის ვადარჩენაში სულ დაივიწყეს ეს უფეხო სულდგმული და მარტოდა-მარტო დატოვეს ცალიერ სახლში. ნენეს თმები ყალუზე აულდა, თვალეხიდან ნაპერწკლები წამოსციედა, ყურებმა წიფილი დაუწყო, მიიწ-მოიწია, უნდოდა როგორც ეშველა თავის თავისთვის, მაგრამ ყოველი ცდა ამოა იყო, წელ ქვეით დაშლია, მოძრაობას საუკუნოდ მოკლებული იყო. მომაკვდავი კი ყელში ხრიალებდა, ხანდისხან ხელ-ფეხს აწყვეტდა იატაკზე, ნენესთან სულ ახლოა, ახლოა ნენე ღრიალებდა, თავის ხელით იგლეჯდა ხორცს, თავ-პირში იცემდა, მაგრამ საშველი არსით იყო, გარშემო საშინელი სირუმე იყო და აღმანიის სიკვდილთან ბრძოლა უფრო მკაფიოდ, უფრო საოცარი სისასტიკით მოჰქმედებდა. მომატებულის მოთმენა აღმანიისთვის შეუძლებელი იყო და ნენემ გონება დაჰკარგა, გულს შემოეყარა. ვითინდისას ნენემ თვალეხი გახიზოა, გვიყვით აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა და ხელმოერეთ თმები მაღლა წაუყვდა. იატაკზე ვაშემებული, გაუშვილი იაგარას უსუსლო გვამი ეგლო. იმას პირი დია და-

\*) იხილე „კვებლი“ № 31.

რჩენოდა, თვალები გაჭყეტილი და მთელ მის პირისხანს შემპარწუნებელი ლეშის შეხედულობა ჰქონდა მის გარემოში ამაზაზიდი წითელი ღვინის ნიაღვარი მიღობდა და სისხლის გუბებზედ უღებოდა იმ დაბალ ტახტს რომელზედაც ნენე იჯდა.

ნენეს ღამის გამოურკვეველ შიშს, ახლა ამ საზიზღარი ცხედრის ყურება აორთქლებდა, ჰუუსის შერკევამდე მიჰყავდა: „ღმერთო, ღმერთო, რაზედ მომავლინე ამ გვიარი სასჯელი? რისთვის? რისთვის! განა ჩემი ცხოვრება ისე ცოფდოდა და შერტყენილი იყო, რომ სოცხლად ეს განსაცდელი, ეს ჯოჯოხეთი წარმომიდგინე? განა? მაგრამ ჰო, ჰო! ღირსი ვარ... ღირსი... ახლა კარგად მაგონდება... მესმის კიდევ... მესმის უფედღური ლექსასი და სოსიკოს კენესა, ძახილი, მომაცდავების სულის კვეთა... მესმის... აი, იქ ამ ოთახს ქვეშ, მარაშში ცარიელ პოლკზე, სიცილოს ემბრიოდენ ისინი, შეძახდნენ, მოხოვდენ შეუღალ და მე კი ყური მოვიყურე... ევენაში გადავსახლდი, რომ იმათა კენესა არ გამეგონა... არ გამეგონა, მაგრამ იქაც ყურით მედგა, დღე და ღამ მესმოდა, მაყრუებდა.. მაგრეებდა, გულს ნაჭერნაჭრად მიქცევდა, მაგრამ მაინც თავი შევიმაგრე და შეველა ვერ გაგებდე... ვერ გაგებდე... შავი ყველილი სჭირადო, მეშინოდა ლუარსახსსაც არ ვაღაღებოდა და ლთვის ანაბარას მივატრევი... იც დიტიანდენ, დაიხოცენ, რომ ადამიანს წყალი არ მიუწოდებია, ამბობდენ სოცხლად დაღებენ, მატლი დაებეთათო... ათი დღე დაუმარხველნი იყვენ... ოჰ, მეც წყალი მწყურებია! მიშეღეთ, ერთი წვეთი ჩამაყლაბეთ... აქ ნენეს წარბოდენა შეწყდა, თვალებს ბურანი ვაღაფთვობა, მაგრამ მალე ისე გონს მოვიტე, ცხედარი დაინახა, გააფრთხოლა და ხელები მაღლა ალაპარო: „ოჰ, ლეთაებზე უცუალებდელი, სამართლიანა ხარ... მაგრამ დედა ეიყავ, დედა!.. შვილი მიყვარდა... იმას ვანაცუაღე, შეეწირე, მისთვის უარეყავ ჩემი ადამიანობა, ჩემი კაცური გრძობა, სინიდილი, შემობრალე, მაპატივე დანაშაული სიყვარულისათვის... მაპატივე და მიბარე ჩემი სული! შეწყვიტე ჩემი უზომო ტანჯვა... ოჰ, კიდევ ყურით მესმის იმათი ძახილი: „ქალბატონო, წყალი, წყალი!“

ოჰ, ღმერთო, ღმერთო! მაქმარე ამდენი ტანჯვა... უზომო ჯოჯოხეთი სიყვარულისათვის! ოჰ, შვილო ლუარსახ, ჩემი ძმუძულები აღსდლიო, ჩემის გონებლად ვანწყურებოდა, ჩემო სალოცო და სადღებელო, რით გადახადე ჩემი ამაგი? რით? წყეული იყავ, წყეული, შვილო!.. პირველად ჩემ სოცხლში გწყველი და არ ეინანი, არ!.. გემს-ს, არ ეინანი, წყეული იყავ იმისთვის, რომ სოცხლზედ თვე ეს ჯოჯოხეთი ამაგი!

ნენე ცდილობდა არ მიეხედნა, თვლი მოვირიდებია საოცარ სურათისთვის, მაგრამ თავის უზებლოთ ხედავდა, გრძობდა იმის სიახლოვეს, ჰუნოსავდა იმ-ს სულს, თითქოს ეხებოდა კიდევ იმას გაციებულ, ლეშით ქცეულ გემს. „ღმერთო, მოსაქე ჩემი გრძობა, თვალთ დამბრბავე, გული გამობე!“

დღე მალავდა, საღამო მოახლოვდა. ნენეს იმ აზრმა, რომ შეიძლება ერთი ღამე კიდევ გაატაროს პირის პირს და საშინელ მსებდართან, მოაკრეფინა უკანასკნელი ღონე: პარქვე დაეცა ტახტზე და საშინელის განწირულობით მიფოფხდა ფანჯარასთან, შუშა გამაჭურია და ერთი კიდევ დიუყერა: „ქრისტიანებო დამხსენეთ!“... მაგრამ კრისტი არსიდან მოისმოდა, ჰუანება არსად ჩნდა, პირდაპირი ლექნის კარიც დაკეტილი იყო და მხოლოდ უპატრონოდ დარჩენილი ქოფაკი უკანა ფეხებზე იჯდა, კისერი მაღლა აეღო და სახარლად ყმურდა და ამ გავიჩანებულ მიდამოს ეს ყმური გლოვის ხარად ვადაჰქცურდა. შუე ჰორიზონტს მიჭარებოდა და ჩაჯივრებულ სისხლის ფრად ჰვებავდა დასაყლეთვის მხრით შეგრავილ ღრუბლებს. სიო არასთ იძირდა, შორს, ჰანდრის ხეები მომთენებდასაეთი უმძრეველად იდგენ. ამ საშინელმა სურათმა უკანასკნელი იმედი ხსნისა წარათვა ნენეს და სრულიად მოჰკვეთა ღონე; ეს უძლოურად დეგე მისუჯრის ფიკარზე და სული განუტევა, მხოლოდ ეინი თვალეში, განიერად გაჭყეტილები შიშით და საყვედურით საყენ ცას შეცქეროდენ და თითქოს სამაგიეროს ვადახდას თხოულობდენ ამ უცნაური ტანჯვის მოწყენებისადმი.

მე. გაბაშვილისა

1892 წელს.

რედაქტორს გამოსცემქელი ან. თ.-წერეთლისა.

### ქალაქის გაგებობას

მსამტრომეგამ სამი სახლი პირველი დაწყებითი სკოლებისათვის, რომლებსაც აპირობს ახლად გახსნას: მუხრანთან ქუჩაში, მალაკნების უბანში და ხარაუფში. ყველა სახლში უნდა იყოს ორი მოზდი-

ლი დარბაზი (ხალა) სამი შუათანა ოთახი, სამზარეულო, შუშის დასაწყობი და დიდი ოთხი.  
სახლის აპარტონებს, ვისაც სურთ ამ გვირი შენობა მიჰქარაონ სკოლას, ვთხოვთ ინებონ და უნრობონ ქალაქის გამკეობას ამა წლის პირველ მარამაობისთემდის.

(3-2)